

## მშობლისა და ბავშვის პოზიტიური ურთიერთობის ძალა

**ბავშვის სრული პოტენციალის განვითარების საფუძველი მოსიყვარულე და მზრუნველი ურთიერთობებია.**

ბავშვთან ჩვენი ურთიერთობა განსაზღვრავს ბავშვის ხედვას სამყაროს მიმართ, რაც გავლენას ახდენს მის განვითარებასა და მომავალ ცხოვრებაზე.

სწორედ ამიტომ, **მნიშვნელოვანია მშობლები ვფლობდეთ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ გამოხატავს ბავშვი საკუთარ საჭიროებებს ჩვილობის ასაკიდანვე და როგორ ვუპასუხოთ მისი კომუნიკაციის ყოველ მცდელობას: ტირილს, ღუღუნს, სიცილსა თუ ნუნუნს...**

**ნაზი, თბილი და სიყვარულით სავსე რეაქციებით, ხშირი ჩახუტებით, თბილი ხმით ან თუნდაც ღიმილით ეხმარებით ბავშვს თავი იგრძნოს უსაფრთხოდ და დაცულად.**

სწორედ პოზიტიური ემოციური კავშირი თქვენსა და ბავშვს შორის, რომელსაც თან ახლავს დაცულობის გრძნობა, არის სანდო მიჯაჭვულობა, რისი ჩამოყალიბებისთვისაც **მნიშვნელოვანია, იყოთ დაკვირვებული მშობლები, დროულად გამოხატოთ დახმარების მზაობა და ინტერესი; იყოთ მგრძობიარენი ბავშვთან ურთიერთობაში კვების, ბანაობის თუ თამაშისას.** ამ გზით, მის თვალეებში წაიკითხავთ და ადვილად განჭვრეტთ მისი ქცევის მოტივს.

**გახსოვდეთ, თქვენი შვილის პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი ურთიერთობები იწყება თქვენგან!**

## ჰოლისტური განვითარება \_ ბავშვის განვითარების თანამედროვე მიდგომა

**ადრეულ ასაკში ბავშვის განვითარების და ფსიქო-ემოციური კეთილდღეობის გასაღები არის ბავშვის მრავალმხრივი, იგივე ჰოლისტური განვითარება,** რაც გულისხმობს ფიზიკური, ემოციური, შემეცნებითი, სოციალური უნარების ერთობლივ, ჰარმონიულ განვითარებას.

**ჰოლისტური განვითარება უკავშირდება ბავშვის ბუნებრივ გარემოს და ყოველდღიურ რუტინულ სიტუაციებს,** სადაც ბავშვი ვითარდება ჯანსაღი სოციალური ურთიერთობების, სოციალური აქტივობების და აქტიური სწავლების მეშვეობით.

**თუ იქნებით ინფორმირებული მშობლები, მაშასადამე, მზად იქნებით, რომ ყოველი დღე და წუთი აქციოთ ბავშვის განვითარების შესაძლებლობად და ამავდროულად გქონდეს შვილთან ჯანსაღი ემოციური კავშირი.**

**ეფექტური ჰოლისტური აქტივობები ბუნებრივი, ოჯახური, ყოველდღიური სოციალური აქტივობებია,** რომლებიც თავისთავად ერთდროულად უწყობს ხელს ყველა ზემოთ ჩამოთვლილ სფეროს განვითარებას და არ საჭიროებს ოჯახისგან ზედმეტ ძალისხმევას და განსაკუთრებული დროის გამოყოფას.

თუმცა, უნდა **გაითვალისწინოთ, რომ საკმარისი არ არის მხოლოდ აქტივობის ან თამაშის შერჩევა, მნიშვნელოვანია, პროცესიც -** რამდენად ჩართული ხართ თამაშში ბავშვთან ერთად, რამდენად არის თამაში ინტერაქტიული და ემოციებით დატვირთული, რამდენად იძლევა თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობას (რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვის განვითარების ადრეულ ასაკში), რომ ბავშვმა იკვლიოს, აღმოაჩინოს, და შესაბამისად ისწავლოს უშუალო თანამონაწილეობით, ოჯახის წევრებთან, სხვა ადამიანებთან, მცენარეებთან, ცხოველებთან, გარე სამყაროსთან ურთიერთობით.

## ბავშვის ტემპერამენტი - ბავშვთან ურთიერთობაში გასათვალისწინებელი მნიშვნელოვანი ფაქტორი

**ბავშვის ტემპერამენტის გაგება მშობლობის უაღრესად მნიშვნელოვანი ნაწილია.**

ტემპერამენტი მოიცავს სხვადასხვა მახასიათებლებს – თუ რამდენად ემოციურია პიროვნება, რამდენად რეაქტიულია – რამდენად მწვავედ გამოხატავს რეაქციებს, მაგალითად, იმედგაცრუებას, ბრაზს..., ან რამდენად მორცხვია, როგორ რეაგირებს ახალ ადამიანებზე ან როგორ რეაგირებს ცვლილებებზე.

**ინფორმაცია შვილის ტემპერამენტის შესახებ დაგეხმარებათ იყოთ უკეთესი მშობლები, მგრძობიარე და მეტად მზრუნველი, წინასწარ განჭვრიტოთ ამა თუ იმ სიტუაციაში ბავშვისგან რა რეაქცია შეიძლება იყოს მოსალოდნელი, რათა უკეთ გაუგოთ და გაუწიოთ შესაბამისი მხარდაჭერა.**

უნდა გახსოვდეთ, რომ **არ არსებობს სწორი და არასწორი ტემპერამენტი, არსებობენ სხვადასხვა ტემპერამენტის მქონე ბავშვები** და იმის მიუხედავად, თუ როგორი ტემპერამენტი აქვთ, მათ სჭირდებათ გაგება და მხარდაჭერა.

ამისთვის კი საჭიროა, ადრეული ასაკიდანვე:

- ★ ბავშვთან ღიად ისაუბროთ ემოციებისა და გრძნობების შესახებ;
- ★ გაუზიაროთ ერთმანეთს სხვადასხვა სიტუაციასთან დაკავშირებული საკუთარი გამოცდილებები თუ ისტორიები;
- ★ წაახალისოთ, დასვას მისთვის საინტერესო ნებისმიერი კითხვა;
- ★ დაეხმაროთ ბავშვს მისი ძლიერი მხარეების დანახვაში;
- ★ მიიღოთ ისეთი, როგორც არის, ყოველგვარი იარლიყების გარეშე (მაგალითად: „მორცხვი“, „გიჟმაჟი“...);

**თუ თქვენს შვილთან გექნებათ ურთიერთპატივისცემაზე და ნდობაზე დამყარებული ურთიერთობები, თუ ფაქიზად და ნელ-ნელა დაეხმარებით ბავშვს თავისი უნიკალური თვისებების გამოვლენაში, ის მეტად თავდაჯერებული იქნება ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე - თანატოლებთან თუ უფროსებთან ურთიერთობაში, თამაშის, სწავლის თუ მუშაობის დროს, ადვილად იპოვის და დაიმკვიდრებს საკუთარ ადგილს როგორც პირად, ასევე პროფესიულ ცხოვრებაში.**

## საყურადღებო ნიშნები

**თუ ბავშვი ავლენს ქვემოთ მოყვანილ ერთ ან რამდენიმე საყურადღებო ნიშანს, ისინი ნებისმიერ ასაკში შეუშლის მას ხელს ახალი უნარების განვითარებაში, შესაბამისად მნიშვნელოვანია დროულად მიმართოთ სპეციალისტს – ფსიქოლოგს, ნეირო-ფსიქოლოგს, ადრეული განვითარების სპეციალისტს ან ბავშვის პედიატრს, ისინი გაგიწევენ კონსულტაციას და უზრუნველყოფენ შესაბამის მხარდაჭერას.**

- ★ ხშირად შფოთავს ან ტირის, მიუხედავად იმისა, რომ არც დაღლილია და არც მშვიერი;
- ★ აქვს ჩაძინების ან ძილის პრობლემები;
- ★ არ აქცევს ყურადღებას ადამიანებს, თითქოს მისთვის სულერთია ვინ არის მის გვერდით;
- ★ ძირითადად უკმაყოფილოა;
- ★ აქვს კომუნიკაციის ან სოციალური უნარების დეფიციტი;
- ★ აქვს გარკვეული შეფერხება სხვა რომელიმე სფეროში
- ★ აქვს ვიზუალურ ან ხმოვან სტიმულებზე რეაქციების სიმცირე.

**გახსოვდეთ, ადრეულ ასაკში განვითარების ხელშეწყობა ბავშვის ბედნიერი და ჯანსაღი ცხოვრების წესის საფუძველია.**

**მოეფერეთ, ჩაეხუტეთ, ეთამაშეთ შვილებს, ისიამოვნეთ მათთან ურთიერთობით და ასწავლეთ ერთად ყოფნის ბედნიერება...**



სახელომძღვანელოთ ადრეული ასაკის  
ბავშვთა მშობლებსთვის



კოალიცია  
ბავშვთა  
ადრეული  
ბავშვთა განვითარებისთვის

Coalition for Early Childhood Development